ფონდი ოპისი საქმე ფურცელი

287 1 101

დასკანირებულია
2021 წ.

287 1 101

ხურათზე: შ. რადიანი და ა.თოფურია.

სიკეთით სავსე

ჯერ კიდევ ხუთკუთხის ადრეულ ასაკში, როცა სენაკის (ახლანდელი ცხაკაიას) პედაგოგიურ ტექნიკუმში ვსწავლობდი, ყოველ დილით მოუთმენლად ველოდი მატარებლის მოტანილ ახალ ჟურნალ-გაზეთებს. მაშინდელი ლიტერატურული გაზეთის ბოლო ხვეტზე მსხვილი შრიფტით ყოველთვის წაკითხვიდით — პასუხისმგებელი რედაქტორი: შალვა რადიანი. ასე მეორდებოდა განუწყვეტლივ 30-იანი წლებიდან ომის დამთავრებამდე.

რა თქმა უნდა, ლიტერატურის მოყვარულ პროვინციელ ჰაბუკს რედაქტორი და ისიც პასუხისმგებელი რაღაც საოცნებო პიროვნებად მესახებოდა. შემდგომ, როცა უკვე თბილისში ჩამოსული, სტუდენტური გატაცებით თვალს ვადევნებდი მაშინდელ ლიტერატურულ მოვლენებს, ბუნებრივია, ჩემი უპირველესი მიზანი იყო ოცნებად ქცეული ადამიანების ნახვა.

პირველად შალვა რადიანი კამოს ჭუჭაზე დამანახა ერთმა ახალგაზრდამ. როგორც შემდეგ გავიგე, იგი იყო ვლადიმერ უბილავა. ეს მოხდა 1935 წელს. ლექციები მაშინ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის უკან, კამოს ჭუჭაზე მდებარე სკოლაში გვქონებოდა. უცნობი ახალგაზრდა ჩემკენ გამოითხარა და მითხრა:

— იცი, ეს კაცი ვინ არის?

— არა, — ვუპასუხე გაოცებით.

— შალვა რადიანია, ჩვენი ლიტერატურის მესვეური გაზეთის რედაქტორი, სტამბაში მიდის, ალბათ, გაზეთის გამოსაშვებად.

შალვა რადიანი მიდიოდა აჩქარებით, თბილი, ცისფერი შარვალი და თეთრი პერანგი ეცვა.

ლექციის დაწყებამდე ხაკმაო დრო იყო დარჩენილი. ვლადიმერი ბუფეტში მივიპატიჟე. ორორი ჭიქა ჩაი ავიღეთ და მაგიდას მივუსხედით. მაშინ გავიცანით ერთმანეთი:

— ვალოდია მქვია, ისე ვლადიმერ უბილავა ვარ

ჩემი ბიოგრაფიის ამ ეტაპზე ჩემთვის ძალიან ბევრი რამ გაირკვა. ჩემი ნაცნობი ვლადიმერ უბილავა ის ადამიანი აღმოჩნდა, რომელიც ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მეტად დაეხმარა ლიტერატურის სამყაროში შესვლაში. ის იყო ჩემი პირველი მასწავლებელი, ჩემი პირველი მეგობარი, ჩემი პირველი ნამდვილი კრიტიკოსი. ის იყო ჩემი პირველი მოწაფე, ჩემი პირველი ნამდვილი მკითხველი. ის იყო ჩემი პირველი ნამდვილი მეგობარი.

ვლადიმერ უბილავა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი იყო. ის იყო ჩემი პირველი მასწავლებელ

ბოთ, რომ ილიას ეროვნულია და, მაშასადამე, საკაცობრიო, ინტერნაციონალური.

საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევარს ილიას საუკუნეს ეძახიან და ეს ჭეშმარიტებაა. არც ერთი ერის გენიალურ წარმომადგენელს არ ჰქონია, ალბათ, თავის ერისათვის ისეთი მნიშვნელობა, როგორც ილიას საქართველოსთვის. მისი ღრმა აზრისა და დიადი მისწრაფების ნაწარმოებები, რომლებშიც ეროვნულ ფონზეა წარმოდგენილი საკაცობრიო გრძნობები და იდეალები, განსაკუთრებით ბედისგან დაჩაგრულ ხალხებისა, თარგმნილი რომ ყოფილიყო სხვა ხალხების ენაზე, ილია ჭავჭავაძე დიდი ხნის ჩარიცხული იქნებოდა მსოფლიოს გენიოსთა სიაში...

ეს ჭეშმარიტება საქვეყნოდ ერთხელ კიდევ დაადასტურა შოთა რუსთაველის მაგალითმა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, „ვეფხისტყაოსანის“ და არც ერთ შემთხვევაში არ ჰგავდა არც ე. წ. ლიბერალებს და არც ცრუპენტელა პატრიოტებს, რომლებიც რას არ აკეთებდნენ იმის შიშით, რომ მათთვის ნაციონალიზმი ან შოვინიზმი არ დაეწამებინათ.

სარბიელზე ილიას მოღვაწეობისა მთელი საქართველო იყო, ხოლო სფერო მისი შემოქმედებისა — ქართველი ხალხი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ამ მიმართებით არ დარჩენილა არც ერთი დარგი, სადაც ილიას თავისი სიტყვა არ ეთქვას და ამ საქმიანობის მთელი სიმძიმე თავის თავზე არ აეღოს. ილია ჭავჭავაძემ, როგორც იტყვიან, პასუხი გასცა ყველა იმ კითხვას, რომელიც ცხოვრებამ წამოაყენა საქართველოს სინამდვილეში... ამიტომაც მისი მოღვაწეობა ისევე მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი, როგორც მისი მშობლიური ერის ბობოქარი სუ-

ლადო გუდიაშვილის დაბადების 90 წლისთავი

ჩვენმა მთელმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა დიდი ქართველი ხელოვანის, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის ლადო გუდიაშვილის დაბადების 90 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით „ხელოვნებამ“ რუსულ ენაზე გამოსცა სსრ კავშირის მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის წევრის, ლიტერატურული და ჟურნალისტთა პრემიების ლაურეატის იური მოსიშვილის წიგნი „ლადო გუდიაშვილი საბალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის, შემოქმედება განსჯანი). დოკუმენტურ მასალებსა და პირად შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით იგი ცოცხლად მოგვითხრობს საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

1965 წლის 2 ივნისს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ბიბლიოთეკის მუშაკთა ინიციატივით, იქვე, წითელ დარბაზში მოეწყო შეხვედრა რუსთაველის პრემიის პირველ ლაურეატებთან: კონსტანტინე გამსახურდიასთან, ლადო გუდიაშვილთან, ირაკლი აბაშიძესთან, ელგუდიაშვილი, მ. გამსახურდია.

ეს სურათი ბატონმა ლადომ გულთბილი წარწერით უძღვნა გაბო გოშაძეს — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მაშინდელ მოადგილეს, ვისთანაც დიდი მეგობრული გრძნობა აკავშირებდა: „ეს ფოტო ალბათ ჩემთა სიბერეს გაუძლებს

და მისი მოკვლა შეუძლებელია, ეს არ იცოდნენ მისმა უბადრუკმა მკვლელებმა!

ილიას უკვდავება და მარადისობაა მის მიერ შექმნილი და მისივე უზადო კალმით დაწერილი ქართველი ერის ისტორია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, — „ვანდეგილი“ და „კაცია ადამიანი?!“ „კაკო ყანჩაღი“ და „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და „აჩრდილი“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და „ბაზალეთის ტბა“, „ქართლის დედა“ და „დიმიტრი თავდადებული“, „მესიმი, მესიმი“ და „სარჩობელაზე“, „...ის ისტორია“ და „ქეთო ლადადი“...

რა აღელვებდა, რა ამოძრავებდა დიდ მწერალს, როდესაც ამ შედევრებს ქმნიდა? უპირველეს ყოვლისა შობლიური ხალხის თავისუფლება! სხვა მიზანი წარმოუდგენელია ერის მედროშისათვის და ერის ბურჯისათვის!

როდესაც ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას იხილავენ ამ მიმართებით, მუთითებენ, რომ ილიას ორი ძირითადი პრობლემა, ორი მთავარი რამ აღელვებდა, ანტეკრესებდა, — თავისუფლება ერისა და თავისუფლება შრომისა. ვფიქრობ, რომ დიდ პოეტთან ეს ორი მცნება, ეს ორი საქმე განუყოფელია, რადგან არ არსებობს ერის, ხალხის თავისუფლება შრომის განთავისუფლების გარეშე, ისე,

თავი

ლებ

რდი

ილ

იმ მ

რამ თავიანთი გარჯით, განსწავლულობითა და მოქმედებით ჩვენზე უფრო ბედნიერნი...

თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ილიამ შეძლო ჩვენი ხალხის თითოეული წევრის გულში გადარჩენილი ნაპერწკლების შეგროვება და ერთ დიდ კოცონად აღება ჩვენი ქვეყნის გაციებული გულის გასათბობად... და რაც სამწუხაროა მოსთხოვა ილიას, მან ყველაფერი მისცა, არაფერი არ დაიშურა... და ეს იყო ძირითადი მიზეზიც წინაშერის ტრაგედიისა, ილიას გოლგოთასი, რომელიც დიდი ხნით ადრე აღმართული იყო მოწამებრივი სიკვდილისათვის... სწორედ ამ ეროვნული გლობის ჯამს ყველაზე მეტად გაგრძნობა ილიასაგან ნაანდერძევი მღელი მოძღვრება, მისი სიდიადე; ყველაზე თვალნათლივ აჩრდილდა ყველა ქართველის გულში გადანახული ნაპერწკლები; სწორედ აქ, ამ ტრაგედიის ადგილზე, ქართველმა ერმა ხელში აიტაცა და მაღლა ასწია ერის ჯანთავისუფლებისათვის ბრძოლის ალამი, რომელიც ნახევარი საუკუნე ხელთ ეპყრა ილიას... აქედანვე იწყება ილია ჭავჭავაძის მარადისობაც და ქართველი ხალხის უაზლესი ისტორიაც!

ილია ჭავჭავაძე მთელი სიცოცხლის მანძილზე და ამჟამადაც, ალბათ, ახლა უფრო მეტად, მოგ-

ათლება. გეგმაც და პრობლემა, საბანკო-საკრედიტო და საფინანსო საქმეები, ნავთის, შავი ქვისა და სხვ. დარგების მრეწველობა...)

სწორედ ამ უბადლო ნიჭითა და მრავალმხრივი მოღვაწეობით იდგა თავის თანამედროვეებსა და თანამოღვაწეებზე მაღლა: ამიტომ იქცა იგი ერის პირველ კაცად, უგვირგვინო მეფედ...

ილია ჭავჭავაძე სჭირდებოდა იმდროინდელ საქართველოს, სჭირდებოდა ხალხს, ცხოვრების გაუმჯობესებას, „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენის, ფეხზე დაყენებისა და ყოვლის მოსალოდნელს ფათერაკისაგან დაცვისათვის“ (ილია, თხზ., ტ. VI, 1927 წ., გვ. 27).

ეს ის დროა, როცა ცარიზმის ადგილობრივი აგენტები ყოველგვარი ფორმითა და მეთოდით ცდილობდნენ ჩაეშალათ ყველა ის ღონისძიება, რომლებიც ქართული ენისა და ეროვნული კულტურის დასაცავად იყო მიმართული.

ილია ჭავჭავაძემ, როგორც ქართველი ხალხის მოძღვართ-მოძღვარმა და წინასწარმეტყველმა მემკვიდრეობად გვიანდერძა მის მიერ გაფხული არნახული და არგაგონილი სიძნელეებით აღსავსე ახალი „ქართველის ცხოვრების“ გზა, მის მიერ შექმნილი უკვდავი შემოქმედება, თემაც საქართველოს ისტორიის ეპილოგისათვის და